

42  
-5

საქართველოს  
მედიკალიზაცია

# ღელა

თქვენი, ბავშვების, ადრე, თქვენი შვილი, და მერე კ'თქველი, მწველი! სამოსილი ვაბნაო!

№ 9 საპატონოს სსკ ცენტრალური კომიტეტის  
შარბი მიმდროვანების  
სექსიონი  
1955




## სკოლისაკენ

გზას მიჰყვებიან ბავშვები,  
 ღხენით, ხადისით საესენი,  
 პირველად მიდის სკოლაში  
 მაღნაზი პირველკლასელი.  
 ბიჭუნა ტოლებს მიჰყვება,  
 ჩიტები ჰიკვიკოს აცლიან,  
 ხელში წიგნები უჭირავენ,  
 ღურჯი ხდათი აცვია.





# ერთი გაიზარდოს და...



ოვია იოსელიანი

ნახატები გრ. ჩიჩინაშვილისა

მერე რა, თუ ჩემი ძმის ფეხსაცმელე-  
ბი სრული მაქვს და მისი მოკლე ზალ-  
ტო მიწასე შეთრევა.

დიდი ამბავია, თუ ის ბაბუამ ცხენსე  
შეივა და ლაგამიც ხელში დააჭერინა!..  
ცხენსე მეც სომ შეივა ბაბუამ, მაგრამ  
ლაგამი კი არ მანდო. სამაგიეროდ,  
თედო მინამ, როცა ტრაქტორი ხნულის  
თავში დააუენა, საჭესთან მე მარტო  
დამტოვა და დამპირდა: „სულ რაღაც  
შენი ხელის თითების ოდენი წლებია  
საჭირო, რომ შენც წაუვანა გასწავ-  
ლო“.

მამამ თქვა, „თედო მინას ტუვილი  
ერთხელაც არ უთქვამს, წინდაწინ იტუვის,  
ამდენს მოვხნავ და აჭარბებს კიდევცო“

ჰოდა, ჩემს ხელებზე სომ ათი თითია,  
ეს მე კარგად ვიცი. ათი წელი რომ  
გაივლის, ესე იგი, ჩვენი მსხალი ათ-  
ჯერ რომ მოისნამს,—უჰ, როგორი გა-  
უმადარია ჩვენი დედა-ღორი და მისი  
კუდაბრეხილი გოჭები, სულ ისინი ჭა-  
მენ მიწიფე მსხალს!.. აი, მაშინ, როცა

ჩვენი წვერცანცარა თხა წვეილ თიკანს  
ათჯერ მოიგებს... წელს მისი ერთი  
თიკანი თაროზე შესტა და რმით  
სავსე ქოთანნი გატენს, იმ დილით მარ-  
ტო ჩაით ვისაუხმეთ,—აი, მაშინნახოს  
ნოდარმა (ჩემს ძმასე ვეუბნებით)! ტრაქ-  
ტორზე რომ წამოვჯდები, ისე ავაგუგუ-  
ნებ, სულ უურები გამოქვადოს. ნახავთ,  
რამდენს ვახვეწებ: „ცოტასე მანაც წამა-  
უვანინეო“.

აბა, თქვენ თვითონ თქვით, როგორ  
ვანდო ტრაქტორი, როცა თვითონვე ამ-  
ბობს: „მშენებელი ინჟინერი უნდა გაუ-  
ხდეთ“. ტრაქტორის წაუვანა სახლის  
ამეხება სომ არ ჰგონია! გუშინ მე ორი  
სახლი ავაშენე და ორივე დავანგრიე,  
ტრაქტორი კი ვერაც არ წამიუვანია.

არა, ცოტა ხნით მანაც დავსვამ  
ტრაქტორზე. ძალიან კი ეწეინება, მაგ-  
რამ კვლის თავში გასვლისას ისევე უნდა  
გადმოვსვა, თორემ ჩამობრუნების დროს  
ხნულს გამოიმრუდებს.

დათო სომ იცით, ზატარა მუხმუხელა




ბიჭი რომ არის, ჩემი მესობელი, ჭას-  
თან რომ დიდი ვაშლის სე უდგას. მან  
მითხრა: „ჭაში ჩაცვივებულ სეთ ვაშლს  
მოკიტან, თოდნდ ტრატორი თვითონ  
მე შემომბარუნებინეო“. მე მაინც უარი ვუთ-  
ხარი; აბა, სეთი ვაშლისათვის საქმეს  
სომ არ წავახდენდი.

სულ ერთია, ჩემს მძახე დიდხანს  
მაინც დათოს დაჟსვამ. ნოდარი მძა,  
მაგრამ მასზე ძალიან გაჯავრებული  
ვარ.

ის რა ხანია სკოლაში დადის, ზიო-  
ნერიც განდა, ახლა კიდევ „როგლის  
სელმძღვანელი ვარო“, იძახის. მე კი  
დათვლაც ვისწავლე, „ი“-ს და „ა“-ს  
იქაც ვკითხულობ, მაშას რომ დიდი  
და ლამაზი წიგნები აქვს. მაგრამ  
ნოდარმა სკოლაში მაინც არ წამიყვანა.  
ზატარა ხარო, — აი, მოძავალ წელს უე-  
ჭველად მიგიღებენო.

მერე მე ჩემი ნაწილი მუდმივი კალ-



მისტარი მივეცი. კალმისტარი ნამდვირ-  
ლად მოიწონა, მაგრამ სკოლაში წასა-  
ყვანად მაინც დამიწუნა.

მართლაც, ახალი არ მივიღეს, მა-  
გრამ ჩემი ძმის ძველი ჩანთა გამოვებე-  
ნე, სადღაც სხვენზე მიგდებული. შიკ  
ძმისავე ძველი წიგნები, ჩემი ახალი  
„დედაყნა“ და მამაჩემის ძისველი კალმის-  
ტარი ჩავუდე, სელში მაკიდის დიდი სა-  
მელნე დავიჭირე და სკოლაში გავიწარე.

სკოლის ესოში არავინ ჩანდა.

კარები ვველგან გამოკეტილი იყო,  
მხოლოდ თითო-ოროლა ბავშვის სმა  
ისმოდა, როგორც ჩემმა მამა იცის  
გაკვეთილის მოყოლისას.

მე ერთ ცისფრად შედებილ კართან  
ავიტუსე, ქუდი ჩანთიან სელში დავიჭი-  
რე და ფრთხილად დავაკაკუსე.

კარი ძალე გამიღო ვილაც ლამაზმა  
ქაღმა, ალბათ მასწავლებელი იყო, და  
გაკვირვებულმა ჩფრისინად მკითხა:

— რა გნებაჟს, ბიჭიკო?

მე არ დავიბენი და უცებ ვუთხარი:

— სკოლაში მინდა სწავლა — თან ჩანთა  
და გზაში სახანსევეროდ დაცლილი სამელნე  
დავანახვე.

ჩემს სიტყვებზე ბავშვები ერთიანად  
ასარხარდნენ და მერსებიდან წამოიძალ-  
ნენ.

— შენისთანა ზატარა ბიჭები სკო-  
ლაში რომ არ დადიან! — ჩაეცინა მას-  
წავლებელს.

ოჰ, როგორ არ მიუვარს, როცა ჩემ-  
ზე იცინიან. თანაც „ზატარა“ რომ და-



მიძახა! ნამდვილად ჩემსა მის უთხრა:  
„პატარა და არ მიიღოთო“.

ცრემლით მოსულობა აუხსენი

— შე... შე ხომ კითხვა ვიცი!..—  
„დედაჩემს“ ამოსაღებად ჩანთას ვუცი, მაგრამ  
სამეფლზე გამიცურდა და იატაკზე  
გაგორდა.

ცრემლები წამომცვივდა და ისევ ავ-  
ლულულდი:

— დათვლაც... დათვლაც ვიცი. ერ-  
თი... ორი, სამი... ოთხი...

— ნუ ბიჭიკო, ნუ ტირი,—დამი-  
უვახა მასწავლებელმა,—შენებრ კიკნა და


ციცქნა ბიჭებს მოძავალ წელს აუცნა  
ლებლად მივიღებთ,—და კიბეებსე ჩამომა-  
ცილა.

ახლა კიდევ „ციცქნა და კიკნა“!  
ერთიორად გაგუჯაურდი: განა არა კმა-  
როდა „პატარა ბიჭის“ დამახება კაცის  
დასამცირებლად?

მაგრამ მსცადონ! ის მოსწავლეები,  
ჩემს გამოჩენასე რომ ხარხარებდნენ,  
თუ ტრაქტორზე დავსვა!

აი, ნახონ!

ერთი ძაღვ გავისარდო და...



## არ მიიღეს მაინც



სექტემბერში თემურს  
შეუსრულდა ექვსი,  
პატარაა, მაგრამ  
იცი ბევრი ლექსი.  
ლექსები ხშირად იცი,  
იცი ანიც, ბანიც,  
წიგს სკოლაში იგი  
არ მიიღეს მაინც.  
მოჰყვა ბიჭი წუხილს,  
შეგვებრდა მართლაც,  
მოვუტანეთ წიგნი,  
მოვუტანეთ ჩანთა.  
თემოს დედის ბიძას —  
გამოჩენილ ოსტატს,  
თემურისთვის მერხი  
გაეჩარხა კობა.  
მოვუტანეთ, თემომ  
არ გაგვიშვა არსად,  
დედოკონა თვისი  
მასწავლებლად დასვა.  
თვითონ დადგა მერხთან,  
არ დაფრიადა წუთით,  
თქვა სოხელს ლექსი,  
დავუწერეთ ხუთი.

## მე ისევ მთაში დავრჩები

ოთარ კვარაცხელიძე

მე ისევ მთაში დავრჩები,  
ჯერ ვერ დავტოვებ აგარაკს, —  
თუმცა ბაფხუდი გავიდა,  
უკვე სწავლის დრო დამდგარა.  
ჩემი უფროსი ძამიკო  
სადგურზე გამოვაცილებ...

ჯერ პატარა ვარ, მის წიგნებს  
რა ვქნა, ვინ გამინაწილებს!  
ის უკვე სკოლას ეწვია,  
მოსწყინდა ტყე და მთის წყალი.  
მე კი ჯერ მთაში დავრჩები  
და ახად ლექსებს ვისწავლი...





# ჩვენს ეზოს სტუმარი

აპაი ბელიაშვილი

ნახატები გ. კოინიშვილისა

ერთხელ, ჩვენს ჰატარა ქალაქში მო-  
ნადირეებმა მთიდან ზაწაწკინტედა დათ-  
ვის ბელი ჩამოიფხანეს და ბასარში გა-  
უშვეს.

ნოქრებსა და ღუქნის ბიჭებს სასეირო  
საქმე გაუჩნდათ: დათვის ბელს ხან ჯოხს  
ურახუნებდნენ თავში, ხან ქინჩში ჩააგ-  
დებდნენ ხელს და ბურთივით ესროდნენ  
ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ვინ მოს-  
თვლის, როგორ აწვალებდნენ ამ ჰატარა  
გარეულ მხესს. ჩემს მძას შეებრალა იგი,  
დასტაცა ხელი და ჩვენს ეზოში მოი-  
ქანა.

— ეკ რა არის? — ვკითხე მე, რო-  
დესაც იღლიის ქვეშ ტიკტორასავით  
ამოჩრილი დათვის ბელი დავუნახე.

— ჩემი მობილი დათუნია გან-  
ლაუთ, — მიპასუხა მან, ეზოში სკამზე ჩამო-  
ჯდა და დათვის ბელი მიწაზე დასვა. — აბა,  
ერთი მძას უცქირე! — მარჯვენა ხელის  
სალოკი თითი დათვის ბელს გაუშვირა;  
ის კი ზღამიანივით უკანა ფეხებზე დად-  
გა, თითს ზირით მისწვდა და წოვა და-  
უწყო. თანაც თათები ჩემს მძას მაჯაზე  
მოხვია და ისეთი ნეტარებით ჯლოხნი-

და თითს, თითქო საკუთარი დედის ძუ-  
ძუს სწოვდა.

— ეე, რას სჩადიხარ, — გაუწვერი  
ჩემს უმცროს მძას, — რა ბტუეუბა წადი,  
ბოთლში რმე ჩაასხი და რეზინის საწო-  
ვარა გაუკეთე. ცოდევა, ვერა სედაფ,  
მძიერია. მანამდე მაგას მე მოუფელი.

ჩემი მძა რძის მოსატანად გაიქცა.  
მე დათუნის ხელი დავაკლე და მუხლებ-  
ზე დავისვი. დათუნამ შემომხედა და  
სცადა ახლხ ჩემს თითს მისწვდომოდა  
საწოვად.

ეზოში ბავშვები მოგროვდნენ. დანა-  
ხეს თუ არა, დათვის ბელი როგორ



ნის სწოვარ ვერ ვიპოვე და როგორ  
დავაღვივოთ რძე?

— არა უშავს რა, ამითაც კარგად  
მოახერხებს ჩვენი დათუნია რძის მი-  
თმევას. — ვუთხარი მე და ბოთლი გა-  
მოვართვი.

დათუნის ბოთლის ეელი მივუშვირე.  
მან მაშინვე სცადა მოეწოვა და ბოთლი  
თათებით სელიდან გამომტაცა. თავდა-  
პირველად ვერაფერი მოუხერხა, 'ერე  
უცხად მიუხვდა საიდუმლოს. სასაცილოდ  
ჩაჯდა, წინა თათებით ბოთლის ეელი  
პირში ჩაიუღდა, უკანა თათები ბოთლს  
ქვემოდან მიახვინა და მადლა ასწია,  
რომ რმე უკეთ ჩასცლოდა პირში.

ასე სულ ვერტუნ-ვერტუნით დანსცალა  
მთელი ბოთლი. მართალია, რმეც ბლო-  
მად დაედვარა, ზოგი ნიჩუხე გადაეხსა,  
ზოგი მუცელზე და ბეწვი დაესვარა,  
მაგრამ მანაც კმაყოფილი არხეინად წა-  
მოკოტრილდა მინდორზე.

ახლა თამაშის ხასიათზე დავლა.



სასაცილოდ სწოვდა თითს, ეველას  
მოესურვა მისთვის საკუთარი თითი ეწო-  
ვებინა და სვეწნა დამიწეეს, მოდი, ჩვენც  
მოკეცი ნებაო.

— წოვას რა ჯგუხა აქვს, წადით,  
დათუნის საჭეელი მოუტანეთ. — ვუთხა-  
რი ბავშვებს.

— რას ჯამს? — მკითხეს მათ.

— ეველაფერს, რაც გემრიელია. გან-  
საკუთრებით ტკბილეული უუარს: თა-  
ფლი, შაქარი, კამფეტი, ნამცხვარი.

ბავშვები კისრისტეხით გავარდნენ  
თავთავიანთ სასლებში და, სანამ ჩემი  
მხა რძიან ბოთლს მოიტანდა, სასწრა-  
ფოდ მოარბენინა ზოგმა შაქარი, ზოგ-  
მა შოკოლადის ნაჭერი, ზოგმა ლამბა-  
ქით მურაბა და შეიქნა ერთი გამახინ-  
ძლება. აბა, მაშინ უნდა გენახათ დათუ-  
ნის ღვინო. რაც კი მისცეს, ეველაფე-  
რი ერთ წუთში გადასანსლა.

ამასობაში ჩემი მძაც მოვიდა და ბო-  
თლით რმე მოიტანა.

— რა ვქნათ, — იკითხა მან, — რეზი-





უსბად ცუკას მოჭკრა თვალი და ფეხ-ზე წამოიჭრა.

ბავშვებმა ცუკას დასტაცეს ხელი და დათუნას წინ დაუყენეს.

— აბა, ვნახოთ, რომელი მათგანი უფრო დიდი ვაჭკაცია! — ვთქვი მე.

მაგრამ ორივეს ისე შეეშინდა ერთმანეთისა, რომ აქვთ დათუნია გადაკოტრილდა და მოჭკურცხლა და იქით ცუკა. ბავშვებმა კვივილ-ხივილი ატყეს. მერე დასტაცეს ორთავეს ხელი და ერთმანეთს ჩახსუტეს.

დათუნია შედგა, გულმოსული აბურღღუნდა. ცუკა კი შეშინებული წაკოტრილდა და მლიქვნელურად დაუწეოკუდის ქიცინი, თითქოს უნდოდა ეთქვა: მე შენი ძალიან შეშინია და სულაც არ ვაპირებ შენთან ჩხუბსო.

დათუნია მიუახლოვდა, დაეხოსა და თათი მოუქნია.

ცუკა უსბად წამოხტა, ხან ერთი მხრიდან მიახტა დათუნიას, ხან მეორე მხრიდან და სუმრობით შესახა:

— ჰამ! ჰამ! ჰამ!

გუფა ვერე არ უნდაო, დათუნიამ უსბად თათი მოუქნია და ჩვენ ცუკას ისეთი ლახათიანი სილა გააწნა, რომ ცუკა სამჯერ გადავიდა ძალაჟს და შინისაკენ წკავწკავით მოჭკურცხლა.

დათუნია გაიქცა და თხილის ბუჩქებში შეძრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბუჩქებიდან თავი გამოაჭრა და იქიდან გადმოგვიყვანა. შემდეგ ხეზე ავიდა. თურმე ისე ოსტატურად სცოდნია დათუნიას ხეებზე ასვლა, რომ თქვენი მოწონებულები.

ბავშვებმა კვლავ კრიამული ატყეს.

არ ვიცი, დათუნია სვდებოდა ბავშვების სინარულს, თუ თვითონ იყო ასეთი ცელქი და ოინბაზი, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მთელი დღე ისე ეშმაკობდა, იმდენ ნაირ-ნაირ ოინებს კვირვებდა, რომ იმაზე სასაცილოს და სასერიოს თქვენს სიცოცხლეში ვერა ნახავდით.

ერთხელ ჩვენი ეზოს მამალთან მოუვიდა



ახუბი. წვრილ და ძალიან ფეხებზე შემდგარი ჩვენი ღვებებიანი მამალი ამჟამად დაბაიჯებდა ეზოში და ამ უცნაური ცხოველის დანახვაზე გულმოსული ქოთქოთებდა. დათუნია გამოევიდა და ეს ჩვენი თავმომწონე მამალი ერთი კრიას-კრიასით იფრინა.

მერე ბავშვებმა ჩვენი ფისო მოუყვანეს და წინ დაუსვეს. ფისომ დაინახა თუ არა უცხო მსეცი, აიფხორა, უკან-უკან წავიდა და განარგა დააპირა. ბავშვებმა არ გაუშვეს.



დათუნია მიუხელოვდა და შეეცადა მოეწონსა, მაგრამ ამ დროს ერთი კი შესძახა ჩვენმა ფისომ:—ფხს... ფხს...— მერე თათით დათუნიას ცხვირი მოაქაწრა, ბავშვებს ფეხებში გაუძვრა და ერთ წუთში სახლის სახურავზე განდდა.

დათუნიას ფისოს კლანჭი ეშწარა და დრიალი მორთო, მაგრამ გაუშვირე თუ არა ჯიბეში საგანგებოდ გადაძალული კამფეტი, მაშინვე მომიასლოვდა, კამფეტით თავისი მომრავი ტუჩებით ჩამომარ-

თვა და იმ წუთშივე დაივიწყა ტკივილი და შეურაცსყოფაც.

დათუნია მთელ ღღეს ჩვენთან სტუმრად იყო და დაღამებამდე ვერთობოდით მისი ოინებით. როდესაც დაღამდა, ჩემს ძმას სახლში უნდოდა შემოეყვანა, მაგრამ უფროსებმა უფიერეს, ეგ აქ უვალაფერს დალეწავენ და დანამსხვრევსო. ამიტომ ისევე გარეთ დაეტოვეთ. დათუნია თვითონ შეუდგა თავისი საწოლის მოწობას; წავიდა, თხილის ტოტები დამტერია, დააკო და ზედ წამოკორდა. მაგრამ, როგორც ეტეობა, ეს მანინცაღამანინც არ მოეწონა, რადგან ტყეში, ღლებათ, სძელ ნემოსე წოლას იყო ნახვევი და ახლას ნედელ ფოთლებზე წოლას ეუცნაურა. ადგა, ცოტა ხანს კიდევ იბორივალა ეხოში, მერე ჭიქვარში გაძვრა და მოჭკურცხლდა.

მას შემდეგ დათუნია კიდევ რამდენჯერმე იყო ჩვენთან სტუმრად, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, მაშინვე განაზრებოდა.








# ბაღობას გიძღვნი, სოფელ

ჩიტვით ადრე ვდგებოდი,  
სახლს ადრიანად ვტოვებდი,  
მოედნის ტოდა ეზოში  
ვიკრიბებოდი ტოლები.  
— არ აწყენინოთ ჩემს სტუმარს,—  
ხშირად ხუმრობდა დეიდა.  
ქადაქედ მზიას მეძახდნენ,  
მუდამ მავსებდნენ ღხენითა.  
მე ვერც კი დავძარ მიწიდან,  
იმხელა იყო საბამთრო,  
მერე რამდენი ნესვები!  
მათმა სურნელმა დამათრო.  
რომ ჩავიბრუნდი გზა-შარას,  
გვესადმეებდა შრიადით  
ათასნაირი ვაშიდი და  
ათასნაირი ქლიავი.  
ლამით რადიოს ვუსმენდით,  
ხან გვექონდა ცეკვა-თამაში...  
უფრო ჯანმრთელი, გაბრდიდი,  
ღხენით დავბრუნდი ქადაქში.  
აზღა სკოლაში მივიღვივარ,  
მოწაფე ვხდები დღეიდან,  
მადლობას გიძღვნი, სოფელო,  
და ჩემო კარგო დეიდავ!



თინათინ კვიციანი

## ბაბუა და შვილიშვილი

ბიჭო, კბილები რა უყავ,  
გუშინ საღამოს ხომ გქონდა?  
კომში, კაკალი, თათარა  
შენთვის საჩუქრად მომქონდა.

ეს რა მოგსვლია, ვაჟკაცო,  
თავი მოგეკურა, ეს არის.  
ჩიფჩიფებ კიდევ? ერიპა...  
დაბერებულხარ ჩემსავით!



ნ. კილასონია

## ვინ გატეხა?

შეეშინდა, იჯავრა  
და ზღუქუნი ატეხა:  
„მე კი არა, ფრწუჯანი  
ბებიკონამ გატეხა“...

როგორ არა გრცხვენია,  
მატყუარა თალიკო,  
რძეს რომ სვამდი, ბებია  
ვანა ვარეთ არ იყო?!



# მადლობა

თათუნა ზატარა გოგონაა. მას კითხვას ვასწავლიდი. მიჟუჯდებოდი მაგიდას, გაუშლიდი „დედაენას“ და ვცდილობდით ვეკლას სიტყვა შეუცდომლად წაგვეკითხა. ასოებს სცნობდა, მაგრამ კითხვის დროს ასეთი რამ ემართებოდა: ჩათკლიდა თითო-თითო ასოს, — თ-ს-ა.

— რა გამოვიდა? — ვკითხავდი მე.

თათუნა სურბთს და ხუდავდა და წამოიძახებდა:

— თიკანი!

— როგორ თუ თიკანი? აქ „თსა“ სწერია.

— თსა ასეთი ზატარა? — გაკვირვებით დანდებდა სურბთზე თითს.

— ზატარაა დასატული. აბა, რამოდენაჯ არის, იმოღენა რომ დასატონ, იმ ფურცელს ხომ ვერც კი გადაშლი.

ის თავს ჩადუნავდა.

მერე სწორად წაიკითხავდა:



— „თონი“, „ხე“, „უთო“.  
მაგრამ შემდეგ ჩათვლიდა:



— ძ-უ-ა... — და იტყობა: — კუდი. ისევე ჩათვლიდა:

— ჩ-ა-ნ-თ-ა... —

და „ნართყელი“ კი გამოსდიოდა.

მაშინ ერთი მასწავლებლის რჩევა გამახსენდა, — სიტყვა უნდა დაამარცვლინო.

— ორ-ორი ასო წაიკითხე, თათუნა, ორ-ორი ასო, და ვეკლავფერს სწორად გაიკებ. — ვუსთხარი მე.

წაიკითხა და საქმეც გაიჩარხა. უკვე ადარაფერი ეძლეობდა.

უნდა გენახათ, როგორ იყო განარებული! არ იცოდა რით გადაეხადა მადლობა. დიდი რომ არ ვყოფილიყავი, თავის საუკარველ დედოფალასაც კი მანუქებდა.

ერთხელ ცუდ ხსიათზე ვიყავი და მხელად გასაკებ წიგნს ვკითხულობდი.



წავიკითხე ორჯერ, სამჯერ, მაგრამ არა-  
ფერი შესძოდა.

— ვერაფერი გაგიკე. — შეჭივილე  
ჩვენებს და წიგნი გადავისროლე.

თათუნამ წიგნს სელი დახვლო, მო-  
ძირბენინა, გაბრწყინებული თვალებით  
შემომხედა და მითხრა:

— დაგვიწუდა, მია? ორ-ორი ასო  
წაიკითხე და ვეველაფერს გაიკე.

მე გამეცინა, კარკ ხსენითხე დაგდე-



ქი, წიგნი გამოვართვი, ერთხელაც წა-  
ვიკითხე და ვეველაფერი გაგიკე.

ახლა მე აღარ ვიცოდი, რით გადა-  
მეხდა მადლობა თათუნასათვის.



## მე რითა ვარ ნაკლები

შალვა შორაშიძე

იქ რომ თეთრი ვერხვებია,  
თუთებიც დგას მალღები,  
წამიყვანეთ, მეც მაჩვენეთ  
პაპა სიკოს ბაღები.  
მინდა ვნახო, ძირს რომ ცვივა  
ტახატუხით კაკლები...  
პაპას თუ თქვენ ეხმარებით,  
მე რითა ვარ ნაკლები?  
ხიღს კრეფავენ... ორღობეში  
ჩადგა ატმის სურნელი.

აი, უკვე მოდის, მოდის  
დატვირთული ურმები...  
წამიყვანეთ, გვხვეწებით,  
და მსხლებს თუ ვერ დავკრეფავ,  
აი, ჩემი დიდი ჯოჯობით  
ლორებს მაინც გავერკავ...  
კაკლების ქვეშ, ბადახებში,  
სადაც მიწა არა ჩანს,  
კოლექტივის ხიღთა ხვავებს  
დავუდგები დარაჯად.



ნახატები A. მუხომბარაძის

## გ ა კ ვ ე თ ი ღ ი

გვიცი ძალიერ გასარბებული იყო: დედამ მარჯალ-საღვთი უვიდა. ახალი ტანის-მოსი დედამ კარადამი შეინახა და შვილს უთხრა: „სეაღ კვირაა, თუ კარგი ამინ-დი იქნება, ჩავაცვამო“.

მართლაც, მშვენიერი დღე გათუნდა. გვიცი უხელ წამოსტა ღოგინიდან, ზირი დაიბანა, ისაუზნა და ახალ ტანსაცმელში გამოიწყო. ის იყო ესომი უნდა გა-სულო, რომ დედამ დაუბახა: „შეილო, თუ სათამაშოდ მიდიხარ, ახალი ტანი-სამოსი გაიხადეო“.

— დედიკო, — შევხეწა გვიცი, — შენი ჭირიმე, ნება მომეცი მხოლოდ დღეს ჩავიცვა, არ ვირბენ, არ გვაფუძნებ!

— კარგი, — უთხრა დედამ, — ოღონდ წვეინახად ივაი, არ იცვალყო.

ესო საუხე იყო ბავშვებით. გვიცი თა-ვის ტოლებს გვერდი აუქცია და მოზრ-დილ ბავშვებს შეურია. „დამალობანას“ და „დაქრობანას“ თამაში მოაგონებუ-ლი ჰქონდა. მოსრდილები კი „ნადირო-ბის“ თამაშს აპირებდნენ; ზოგი მონა-დირე იყო, ზოგი კურდღელი, ზოგი მკევი და მელია, ზოგიც შემებარი მალ-ლი.

— ბავრ, ის ოთხი ხე დაბუქე ტყე იუოს! — თქვა მონადირეების შეთაურ-მა. — კურდღლებო, მელიებო, მკლებო, წადით ტყეში, წყენ, მონადირეები კი შესებრებთ იქ მოვალთ ხანადიროდ.

მატარა გვიცი დიდა ბიჭებმა დაიბრი-ვეს და შესებრობა დააკისრეს. თამაში დაიწყო. მონადირეებმა სათამაშო თა-შები გადავიდეს და ტვისაკენ გუდგენენ ტხანს. გვიცი მალდოვით ხტუნა-ხტუნვით



გაბევა მონადირეებს. ბავშვები ხან მიწაზე გორაობდნენ, ხან ბუჭებში მერუბოდნენ. გვიცის სულ დაგიწვდა თავისი ღამა: სი ტანისამოსი.

— კურდღელი, კურდღელი! ჩქარა ესროლეო თოფი! — დივიერა ერთმა მო-ნადირემ. ბავშვებმა თოფები გაატყვენეს და კურდღლები გადაკოტრალდა, ვი-თამი მოაკლეს.

— ჰამ! ჰამ! — დივიერა გვიცი და ბუჭებში წასტა. როფესაც უკან დააბირა გადმოხტომა, ბუჭის ყუაღს ახალი მარე-ლის ტოტით გამოვლო. გვიცი უკან მოიხედა და ბუჭზე თავისი მარელის ნაჯ-ღვკა რომ დაინახა, ტირილი დაიწყო. დედის დარიკება ახლად გაახსენდა. სახლში შესვლა ვუღარ გაბედა და კარ-თან აიტუნა.

ტირილის ხმაზე დედა კარეთ გამო-ვიდა. გვიცი მოეხვია და სლუკუნ-სლუ-კუნით უთხრა:



— დედიკო, მანატყო, აღარ ვიხმა, ყველაფერს გაგვიკონებ, ეს წემთვის გა-კეთილი იუოს!

ფრანგულიდან ვადმოკაბრთულა ლიტერა მ. მ. მ. მ. მ.



# მამაკინწას ამბავი



ყველამ იცით, მამალი ფრინველია ჭკვიანი, ჩვენს ეზოებს ამშვენებს ოქროსღებებიანი. წიწილების მცველია, უყვარს ყველა ქათამი, მათზე ზრუნავს ყოველთვის, მათთვის მუდამ მზად არის! მაგრამ ჩვენს კარგ ბავშვებში ცელქებიც ხომ არიან? ზოგიერთი მამალიც მათი შესადარია... მსურს გიამბოთ ამბავი ერთ მოჩხუბარ მამალზე, ქათმებს სულ რომ აშინებს, პატრონს სულ რომ აბრაზებს.

დახეთ, ჩვენი მამალი რა დიდგულა რამ არის!

მუდამ მოღუშულია, დარია თუ ავდარი, დილაა თუ საღამო, ზაფხული თუ ზამთარი. აი, ახლაც ეზოში დადის სუფთა ჰაერზე, დაბრძანდება დიდგულად, ჩხუბის მიზეზს დაეძებს.

თვალი მოჰკრა წიწილას, საბრალოს და პაწიას, დეზი ზევით შემართა, ფრთები მალდა ასწია: — ეს შენ ხარ თუ ღვეკაცი, რა ამაყად ალაჯებ! წინ რომ არ დამხვედროდი, ხომ გითხარი მრავალჯერ! —





შიშით გული გაუსკდათ  
იქვე შეყრილ წიწილებს,  
საბუღრისკენ გაქანდნენ,  
იწივლეს და იწივლეს.  
კრუხმ, წასვლა არჩია,  
თავს უშველა დამალვით.  
მრისხანე და ფრთამალი  
დატრიალდა მამალი,  
დაერია ქოჩორებს,  
დაერია ყვინჩილებს,  
თან იძახის:— მიბრძანდით,  
ადექით და მიჩივლეთ.

დახეთ, ჩვენი მამალი  
რა დიდგულა რამ არი!

საქათმეში ქათამი  
შეიკრიბა რამდენი!  
ერთი ამბობს:— გავდევნოთ  
ავი საქმის ჩამდენი.  
ყოველთვის რომ ჩხუბი და  
ჩვენი დევნა ახარებს,  
ოავნება და უღირსი  
დაისაჯოს ახლავე!  
— სწორი არის, — კაკანებს  
თმაქოჩორა ვარია, —  
ფეხს რომ ფორთხვით მივათრევ,  
სულ იმისი ბრალია.



სულ არა ჰგავს სხვა მამლებს,  
მეტეჩარა ბრძანდება.  
მოვიშოროთ ამ წუთში,  
აქ ნურც დაუღამდება! —  
მაშინ ადგა დედალი  
და ფრთა-ფრთაზე დაისვა,  
საქათმეში მისი ხმა  
უცბად მშვიდად გაისმა:  
— მამლის ქცევა ასეთი  
მართლაც დასაგმობია,  
ზურგს უკან რომ ვაძაგებთ,  
პირში ვუთხრათ სჯობია.  
ამაყი და ფრთამალი  
ლობესთან დგას მამალი,  
იქვე მამლის გარშემო  
ფრინველია მრავალი.





დინჯი, მხნე და მეღვარი  
სიტყვას ამბობს დედალი:  
— პირში გეტყვი, მამალო,  
გულში რაღა დავმალო!  
ჩავვიმწარე სიცოცხლე,  
ახლა ვეღარ გენდობით,  
ჩვენ რომ გული გვისკდება,  
შენ ხარობ და ერთობი.  
ათი შვილი დამიფრთხე,  
შემიშინე ათივე,  
საზღვარი აქვს ყველაფერს!  
სულ ხომ ვერ გაპატიებთ?!  
აიფხორა მამალო:

— ეს რა სიტყვა მკადრეთო,  
თქვენ რა უნდა მასწავლოთ,  
მე რაც უნდა ვაკეთო! —  
დაპქრის თეთრი ქათამი  
და ვარიკებს მისძახის,  
არის მიწვე-მოწვევა,  
ქოთქოთი და კრიახი.  
წამოვიდა ყვინჩილაც,  
ტყვიასავით მეღვარი,  
წინ მოიწვეს თამამად  
აბჯრიანი მხედარი.  
ფეხში ეცა ჩხუბისთავს  
საოცარი სისწრაფით,  
უცებ სარმა დაუდო,  
დააძგერა ნისკარტი.  
ატყდა ერთი კაკანი,  
ატყდა ერთი ყივილი,  
ძირს მამალი ფართხალებს

კეტით დაბეჭილივით.  
დაეჩეჩქვა თეძო და  
ფრთებზე მტვერი დაედო.  
აბა, სხვების დაჩაგვრა  
ერთხელ კიდევ გაბედოს!  
და ქათმების შესყევას  
ვერ გაუძლო მამალო,  
ფრთები ვეღარ გაშალა,  
თავი ვეღარ დამალა.  
აღარ ეძებს ვაჟკაცურ  
სინდისსა და ნამუსსაც,  
აიბუხა, შეშინდა,  
იკადრა და გაქუსლა...  
ახლა ჩვენი მამალი,  
მხრებჭრელი და ფრთამალი,  
რა ლამაზად სეირნობს,  
რა კეთილი რამ არის.  
— ჩემო კარგო მამალო,  
აბა, რაღა დავმალო?  
სიხარულით გიყურებს,  
წიწილებს რომ დარაჯობ.  
კაკანებზე ქათმები:  
— განა ასე არა სჯობს?!




ნახატები ნ. მაღაზორიანის

# გამოსანები

მარიკა მიქალაძე

მასწინძვლები მუდამ სდუმან,  
სასლი ძღერის წარმადარ,  
შინ ქურდები შემოსულან  
მასწინძვლების მოსაზარად.  
მოიტაცეს, წაიგუნეს  
თავის გულის გასასარად,  
სასლი ფანჯრებში გადაძვრად  
და მასწინძვლებს გაუპარად.



ალ. საინოალი


იგი სტუნია მწერია,  
მწვანე ჯეჯილის მტერია.



წვეტიანი და თაზბრტეულა,  
თავში ჩაქუჩს ურტუაშს ევლად!


სტუნია და ეიენა,  
ჭაბობებში აქუს ბინა.

იგი სე და ტუავია,  
ჯოხით დასაყრავია.



დ. ნასალიშვილი


მიწდორი შავი სახლებით,  
ოქროს ტყით შემორკულიან,  
რამდენიც შავი სახლიან,  
იმდენი თეთრი მდგმურია.



ყდის მბატკრობა გუთუნის რ. ცუცქერიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მავკელა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგაიანი, ი. სხარაშვილი, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოცდამეგრვე წელი** ფასი 2 მამ.

И И Л — ежемесячный детский журнал ЦЕ ДКСМ Грузии № 9, сентябрь 1955 г. Тбилиси. Ленина 14. **საქართველო**, რედაქციის მისამართი: თბილისი, ცენტრის 14 8 სართ. ტელ. № 37-38 გამოცე. შუკვ. № 394 სტამბის შუკვ. № 03911444. **ბეგრები** 14 000. ვე 03284 **ბელგოფარია** დასაბეზად 18/VIII 55 **შ. ტაქტი** ანსოზილია პოლიგრაფიკონიერტ კომუნისიონტ სტამბაში. ვენდილი დაბევილია ოსებრის სისტემის მანვანაზე „ბარია ეოსტკას“ სტამბაში.





ბ. 104/104



ბავშვებო, დააკვირდით და მოძებნეთ, მხატვარმა ამ სურათზე რამდენი შეცდომა დაუშვა?